ოქმი:**ო31. 3122333001**
თარიღი:**30/11/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

22 ნოემბერი, 2022 წელი

15.00 საათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს წევრები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები: ლოლიტა ურუშაძე, კარლო წილოსანი, სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს წევრები: დარეჯან ბურჭულაძე, ირმა მგელაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი,

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი პაატა ურუშაძე, მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი დავით პატარაია.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძე, მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ბიძინა იმნაიშვილი.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო) ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაკა სულაბერიძე, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, გენდერული თანასწორის საბჭოს, არასამთავრობო სექტორის - ,,ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტის" (INDI), ,,გურიის სამოქალაქო ცენტრის“, საინიციატივო ჯგუფების, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები, ,,ლანჩხუთის ახალგაზრდული მოძრაობის“ დამფუძნებელი ქეთევან წილოსანი.

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორის მოდგილე ვიქტორ გოგორიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მთავარი ბუღალტერი მედეა ხუხუნაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი ზაალ სანაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ბუღალტერი ბიძინა ზენაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების დირექტორი ლია ურუშაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი გოჩა მოქია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის საფინანსო განყოფილების უფროსი კობა კუნჭულია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ბუღალტერი ქეთევან მანტკავა, შ.პ.ს ლანჩხუთი-ს დირექტორი ლევან იმნაძე, შ.პ.ს ლანჩხუთი-ს ბუღალტერი თემურ ხუხუნაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნატო მენაღარიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბუღალტერი ლუიზა სარიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი ნატა კობალავა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მთავარი ბუღალტერი მარინა ქანთარია, შ.პ.ს. ქალთა საფეხბურთო სკოლის ,,ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს მთავარი ბუღალტერი კახა ურუშაძე, ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯია“-ს დირექტორის მოადგილე ირმა გრძელიძე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სპეციალისტი ინეზა კვაჭაძე.

სხდომის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე მიესალმა დარბაზში მყოფთ და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

როლანდ ლაშხია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, რომლებიც ამომწურავ პასუხებს გასცემენ ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს. ამასთან, საკრებულოს თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, აქტიურად ჩაერთონ განხილვის პროცესში, რათა მათ მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები შეძლებისდაგვარად იქნას გათვალისწინებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები და დ.ღ.გ -ს განაწილებით მისაღები შემოსავლის პროგნოზი 2023 წელს 11117,5 ათასი ლარი, 2024 წელს 11831,5 ათასი ლარი, 2025 წელს 12825,3 ათასი ლარი, 2026 წელის 13877,0 ათასი ლარი, სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2023 წელს განისაზღვრა 14330,0 ათასი ლარით; მათ შორის: დ.ღ.გ - 11117,5 ათასი ლარი, რაც შემოსავლების 77,6 %-ს შეადგენს, ქონების გადასახადი - 1200.0 ათასი ლარი (8,4%-ი), სხვა შემოსავლების სახით განისაზღვრა 2002,0 ათასი ლარი (14 %-ი) და მიზნობრივი ტრანსფერი - 270.0 ათასი ლარი (1,9 % ი).

2023 წლის ბიუჯეტით გადასახდელები შეადგენს 19000,0 ათას ლარს, აქედან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მიიმართება 4763,9 ათასი ლარი, თავდაცვის ღონისძიებებზე 180,0 ათასი ლარი, ეკონომიკური საქმიანობაზე 2563,1 ათასი ლარი, გარემოს დაცვისა ღონისძიებების დაფინანსებაზე 2304,0 ათასი ლარი, კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე 1799,8 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე 193,1 ათასი ლარი, დასვენება, კულტურა და რელიგიის დაფინანსებაზე 3027,4 ათასი ლარი, განათლების ღონისძიებებზე 3248,6 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის ღონისძიებებზე 3217,6 ათასი ლარი, სოციალური დაცვის ღონისძიებებზე 862,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის დავალიანების დაფარვაზე მიიმართება 58.1 ათასი ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ მოხდა ლანხჩუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)პ-ის და მერიის სამსახურებს თუკი ექნებათ რაიმე სახის შენიშვნები ან წინადადებები, ისინი მოწოდებული უნდა იქნას ძირითადი კომისიისთვის, რათა მუნიციპალიტეტის მერთან ერთობლივი განხილვის შედეგად, შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოხდეს მათი გათვალისწინება. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ 2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14330,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 934,7 თასი ლარით (6,9 %-ით).

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11117,5 ათასი ლარით. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,0 %-ით (1778,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა

გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1200,0 ათას ლარს. 2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 200 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,0 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 270.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 25 ათ ლარით გაიზარდა (10,2%-ით) .

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: რენტა 110,0 ათასი ლარი. 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 42,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1850.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 25,0 % -ით. (2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2022 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით)

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,5 ათასი ლარს. ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19000,0 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 3211,7 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4342,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2440,0 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -160,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 769,5 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-150,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 23,1 ათ ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 700,0 ათასი ლარი:

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა -

100,0 ათ. ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2324.0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2049.2 ათასი ლარი;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 254.8 ათასი ლარი;

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

განათლება - 3248,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 3217,6 ათასი ლარი;

განათლების ღონისძიებები - 31,0 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3027,4 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1359,6 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1647,8 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1055,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 193,1 ათასი ლარი;

სოციალური პროგრამები - 862,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი-32,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა-40,0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-150,0 ათასი ლარი;

ცენტრ ,, იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა -15,0 ათასი ლარი;

მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა-20,0 ათასი ლარი;

მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა-130,0 ათასი ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-15,3 ათასი ლარი;

ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-57,0 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-80,0 ათასი ლარი;

,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა"-20,1 ათასი ლარი;

100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა-4,5 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა-50,0 ათასი ლარი;

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-2,5 ათასი ლარი;

ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა-30,0 ათასი ლარი;

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-20,0 ათასი ლარი;

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა-55,0 ათასი ლარი;

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა-3,0 ათასი ლარი;

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა-7,0 ათასი ლარი;

მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა-3,0 ათასი ლარი;

0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-2,0 ათასი ლარი;

ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა-3,6 ათასი ლარი;

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-82,0 ათასი ლარი;

რისკის ქვეშ მყოფი 0-18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა-40,0 ათასი ლარი.

მმართველობა - 5002,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1287,0 ათასი ლარი;

მერია - 3355,0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-180,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათ ლარი.

ქეთევან წილოსანის განცხადებით, სასურველი იქნებოდა რომ ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი ყოფილიყო მონიტორზე სლაიდების სახით, რაც უფრო მარტივად აღსაქმელს გახდიდა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა მუნიციპალურ

ტრანსპორტის შესახებ წარდეგნილ ინიციატივასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერის ალექსანრდე სარიშვილის განმარტებით, ეს ნამდვილად მტკივნეული პრობლემაა. ძალიან რთულია ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსის გათვალისწინებით ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ იმისთვის რომ დარეგულირდეს ეს პრობლემა, მიიღეს გადაწყვეტილება შეძენილ იქნას ხუთი ავტობუსი, რომელთაგან ორი იქნება 10 მეტრიანი და სამი-8 მეტრიანი. ეს არის განვადება 400000 ევროს ფარგლებში, რომელიც უნდა დაიფაროს 2 წელიწადში. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს შესაბამისი სამსახური. ამასთან, არაა გამორიცხული, რომ იგი გამოეყოს ცალკე სამსახურად. ასევე, მოსაწესრიგებელია პარკირების საკითხიც. მთავრობასთან აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება მოხდა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოტანის შემდეგ. გარდა ამისა, ფინანსთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ სამინისტრო მუნიციპალიტეტს შეუძენს ერთ ნაგავმზიდ მანქანას. ამის შემდეგ, შეეხო ბაზრის მოწესრიგების საკითხს და აღნიშნა, 2023 წელს მოწესრიგდება და კეთილმოეწყობა ბაზარი და მიმდებარე ტერიტორია, სადაც ასევე, გაკეთდება ავტოსადგური, რის შედეგადაც მოხდება ქალაქის განტვირთვა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მიესალმება ტრანსპორტის შეძენას, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ იქნებ მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე წარმოდგენილი იქნას ტრანსპორტის სამსახურის გაძლიერების ან ცალკე გამოყოფის კონცეფცია.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ სამსახურთან დაკავშირებით მუშაობენ გარკვეულ პროგრამაზე, რომელიც უნდა იყოს დახვეწილი და მასში ტრანსპორტის თემის გარდა გაერთიანებული იქნება როგორც პარკირების, ასევე სხვადასხვა საკითხები, რათა სამსახური ფუნქციურად იყოს დატვირთული. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და წარმოდგენილი იქნება გარკვეული მონახაზი.

გურიის მხარეში ცხოველთა უფლება დაცვის აქტივისტი ქრისტინე ორაგველიძე შეეხო მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ კუთხით გამოყოფილი ბიუჯეტი გადასახედია, რადგან ნამდვილად არაა საკმარისი და უნდა გაიზარდოს. ამასთან, უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, მოხდეს მაწანწალა ძაღლების აღრიცხვა და მათი მასობრივი სტერილიზაცია-კასტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ წლიურად მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზრდება.

მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა, რომ გამოყოფილი თანხა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ნამდვილად არ არის საკმარისი. ამასთან, ცხოველების გადაყვანას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული სამსახური, მაგრამ ვერავინ აკონტროლებს იმას, ყველა ძაღლს უკეთდება თუ არა სტერილიზაცია. ამიტომ უნდა გადაიდგას გარკვეული ქმედითი ნაბიჯები. გარდა ამისა, მოქალაქეს, რომელსაც არ შეუძლია ძაღლის სათანადოდ მოვლა-პატრონობა, არ უნდა მიეცეს მისი აყვანის უფლება და ასევე, აუცილებელია პატრონს ცხოველის ქუჩაში გაგდების შემთხვევაში დაეკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ია მოქიამ აღნიშნა, რომ ამ კუთხით პარლამენტში მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და ეროვნულ დონეზე შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტს დაეკისრება სხვადასხვა რეგულაციების შემუშავება, რაც უფრო შესაძლებელს გახდის კანონის დონეზე დაარეგულიროს ეს საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 40000 ლარი, რომლის გადარიცხვა ხდება ეპარქიის მომართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების საჭიროებებისთვის. გარდა ამისა, განმარტა, რომ ჰემოდიალეზის კაბინეტის კეთილმოწყობა, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის

ბოლოსთვის იქნება დასრულებული. რაც შეეხება შესაბამის პროგრამას, ეს არის წინა წლის გაანგარიშება, რაც ეტაპობრივად დაიხვეწება და მოექცევა გარკვეულ ჩარჩოებში.

საკრებულოს წევრი ირმა მგელაძე დაინტერესდა იქნება თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში ჩოლობარგში არსებული ქოხ-სამკითხველოს რეაბილიტაცია. ასევე შეეხო მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამას და აღნიშნა, რომ გამიზნული 130000 ლარი ფასების ზრდის გათვალისწინებით, არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს მოხდება პროექტის შეძენა და ახალი წლიდან აღნიშნულ სამკითხველოს აუცილებლად ჩაუტარდება რეაბილიტაცია თავისი ავთენტურობის შენარჩუნების გათვალისწინებით. რაც შეეხება უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამას, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ბენეფიციართა რაოდენობა შემცირებულია და უფრო ნაკლებია, ვიდრე გასულ წელს.

საკრებულოს წევრის, გიორგი გოგუაძის განცხადებით, საკითხთან მიმართებაში არასწორი გათვლაა, რადგან საკვების ტრანსპორტირებაზე ორჯერ მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე თვითონ ბენეფიციარის კვებაზე. მისი აზრით, უფრო უპრიანია, რომ ბენეფიციარებისთვის საკვების მიწოდება დაეკისროს საბავშვო ბაღებს, რაც გაცილებით იაფი დაჯდება. მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა საკრებულოს წევრს, რომ საკვების ტრანსპორტირება მართლაც გარკვეული პრობლემაა, მაგრამ ვერც ბენეფიციარებს ვერ შეუწყვეტს საკვების მიწოდებას. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი ძირითადად სახელფასო ბიუჯეტია. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი იქნა გარკვეული შენიშვნები, რაც გათვალისწინებული არ არის. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ ზოგიერთ ია(ა)იპ-თან მიმართებაში სახელფასო ფონდში დასამატებელია თანხა. გამოდის, რომ ბიუჯეტი 11 თვეზე იყო გათვლილი, ეს ცუდი მენეჯმენტია. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, წლის განმავლობაში არ უნდა მოხდეს ცვლილება, გარდა იმისა, როცა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოხდება ინფრასტრუქტურული კუთხით თანხის გამოყოფა. მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი 12 თვეზე იყო გათვლილი, ცვლილება გამოიწვია სახელფასო 10%-იანმა მატებამ, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში დაიგეგმა. საკრებულოს წევრის თქმით, ასევე, მისასალმებელია, რომ მოწესრიგდება ბაზარი და მისი მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდეს ქალაქის განვითარების გეგმა და გათვალისწინებული იქნას ბიუჯეტში, რასაც დაეთანხმა საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, რადგან ნამდვილად აუცილებელია ასეთი გეგმის შემუშავება.

საკრებულოს წევრის ირმა მგელაძის განცხადებით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ხელფასების 10 %-იანი მატება არ მომხდარა, რაც მისი აზრით, არასწორი მიდგომაა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა ლია ურუშაძემ ყურადღება გაამახვილა სუფსის სამუსიკო სკოლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ესაჭიროება შესაფერისი საკუთარი ბინა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, გათვლილია თუ არა ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში ახალი სკოლის მშენებლობა ან რაიმე სახის რეაბილიტაცია, რადგან სიტუაცია კატასტროფულია. გარდა ამისა, მუსიკალური ინსტრუმენტების სადმე განთავსების არანაირი პირობა და საშუალება არ გააჩნიათ. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ეს შენობა რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება, ამიტომ მიდის მუშაობა, რომ დაიწყოს ახალი სკოლის მშენებლობა, რაც რეაბილიტაციაზე გაცილებით იაფი დაჯდება.

ამასთან, საუბარი იყო მაჟორიტარ დეპუტატთან და სუფსის ადმინისიტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელია სუფსის ცენტრში გამოიყოს დაახლოებით 500 კვ. მ. ფართი მიწის ნაკვეთი სამუსიკო სკოლისთვის. აგრეთვე, განიხილება მეორე ვარიანტი. კერძოდ, საბავშვო ბაღის შენობა, რომელსაც დაჭირდება დაახლოებით 20000 ლარის ფარგლებში რეაბილიტაცია, რის შემდეგ იქნება ძალიან კარგი შენობა სამუსიკო სკოლისთვის. ამასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია არის ჭაობიანი. ამასთან, ეს ბაღი გათვლილი იყო 25 ბავშვზე და სახელოვნებო სკოლისთვის მისი ფართი არის ძალიან მცირე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეს ვარიანტი ნამდვილად მიუღებელია.

ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯია“-ს დირექტორის მოადგილის ირმა გრძელიძის განცხადებით, მაშინ როცა ა(ა)იპ-ში გაერთიანებულია 43 ქალბატონი და კიდევ შეუძლიათ ოცი ადამიანის დამატება, უარი ეთქვათ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვაზე.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯია“-ს გაეცა ოფიციალური პასუხი (22.11.2022 წელი, წერილი N30-302232639), რომლის მიხედვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში 14 ნოემბერს წერილის და თანდართული დოკუმენტაციით წარმოდგენილი იქნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100- 42 პაციენტზე ნაცვლად პროექტში მითითებული 45 პაციენტისა. პროექტის მიზანში აღნიშნულია სამედიცინო კვლევების ჩატარება ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციევი ქალებისათვის “ონკოქეა“-ს წევრებისათვის და მითითებულია 45 წევრი. აუცილებელია, რომ ყველა ქალი იყოს ძუძუს კიბოს პაციენტი. ასევე, წარმოდგენილია 42 ფორმა N100, რომელთაგან 2 პაციენტი არ არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. 16 ფორმა N100 წარმოდგენილია სხვადასხვა დიაგნოზით. ჯანმრთელობის ფორმა N100-ში 2 პაციენტზე არ არის მითითებული ICD კოდი. 22 ფორმა N100 წარმოდგენილია ძუძუს კიბოს დიაგნოზით და მათგან 9 ფორმა N100 გაცემულია 2012 - 2019 წლებში.

პროექტში წარმოდგენილი კვლევების ჩამონათვალში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი კვლევები, რომელიც აუცილებელია ძუძუს კიბოს პაციენტების ოპერაციის შემდგომი მონიტორინგისათვის: გულ-მკერდის და მუცლის ღრუს ორგანოების კტ კვლევა ან რენტგენოგრაფია, ძუძუს და ზოგადი სპეციფიური ონკომარკერები. მაშინ, როდესაც შეტანილია ისეთი ტიპის კვლევები, რომელიც ონკოპაციენტის მონიტორინგისათვის არ წარმოადგენს აუცილებლობას, ასეთია: დიაბეტის კვლევა(სრული ჩამონათვალი), შარდის შეუკავებლობაზე კვლევა, საშოს ბაქტერიოსკოპია, Sipilis; Hepatit-B; კვლევა ციტომეგალოვირუსზე, კანის დერმატოსკოპია, სტომატოლოგის კონსულტაცია.

ჩამონათვალში ასევე არის კვლევები, რომელიც ფინანსდება სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მაგ: Hepatit-C კვლევა; მამოგრაფიული კვლევა, სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა, PAP ტესტი, კოლპოსკოპია. აღნიშნული კვლევები სახელმწიფო სკრინინგის პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი ჯგუფებისათვის (40-70წწ) უფასოა, თუ არსებობს პაციენტი, რომელიც მიზნობრივ ჯგუფში არ ხვდება, მაშინ იდენტიფიცირებული უნდა იყოს ფორმა 100-ით და განსაზღვრული იყოს მათი რაოდენობა პროექტში. რაც შეეხება Hepatit-C კვლევას, სახელმწიფოს მხრიდან ეს კვლევაც ფინანსდება Hepatit-C ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში.

პროექტში ასევე მითითებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა პოპულაციაში ინფორმაციის გავრცელება კიბოს რისკების შესახებ და

ინფორმირებულობის გაზრდა“, მაგრამ არ არის აღწერილი კონკრეტულად რა ფორმით მოხდება აღნიშნული მიზნის მიღწევა და ვინ იქნება ჩართული საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროცესში;

გარდა ამისა, პროექტში მითითებულია თანხა, თითოეულ პაციენტზე 260 ლარი, ხოლო ბიუჯეტში კვლევებზე 21000 ლარია მითითებული, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 45 პაციენტის კვლევის ღირებულებას, თუ ისინი რეალურად ძუძუს კიბოს პაციენტებს წარმოადგენენ;

ასევე გაუგებარია, რა პრინციპით იქნა შერჩეული მხოლოდ კლინიკა ნიუ-ვიჟენი, რომელიც წარმოადგენს კერძო სამედიცინო დაწესებულებას და კვლევების მათ მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალი აბსოლუტურად არ შეესაბამება ონკოპაციენტის-ძუძუს კიბოს პაციენტის მონიტორინგის საჭიროებებს. ასევე გაუგებარია, რატომ არის საჭირო მხოლოდ თბილისში გამგზავრება კვლევებზე, მაშინ როდესაც ზუგდიდისა და ქუთაისის სკრინინ ცენტრებში შესაძლებელია ჩამოთვლილი სამედიცინო სერვისების მიღება, ასევე, ჩოხატაურში სამედიცინო ცენტრი“ ჯანმრთელობის სახლი გურიაში“-ც სთავაზობს მოსახლეობას ზემოთ აღნიშნულ კვლევებს, მათ შორის კტ კვლევას. გაუგებარია, ასევე ბიუჯეტში თანხების განაწილებაც, ბუღალტრის მომსახურება და საბანკო ხარჯები არ არის ადეკვატური ჩასატარებელი სამუშაოს და საბანკო ტრანზაქციების სავარაუდო რაოდენობის და საკმაოდ მაღალია.

ზოგადად, ტექსტში დარღვეულია პროექტის ფორმა და სტრუქტურა, არსად ჩანს მოსალოდნელი შედეგები, მათი მდგრადობა და ორგანიზაციის გამოცდილება. ორგანიზაცია დაფუძნებულია 2022 წლის მარტში, არსად ჩანს ორგანიზაციის სხვა პროექტები, ურთიერთობა დონორებთან, ასევე პროფესიონალთა ჩართულობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტიდან პირველივე წელს საკმაოდ დიდი ოდენობის თანხის მოთხოვნა არარელევანტურია.

მუნიციპალიტეტის მერის, ალექსანდრე სარიშვილის განცხადებით, ეს არ იყო მუნიციპალიტეტის ვალდებულება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აფინანსებდნენ კონკრეტულ პროგრამას. შემდეგ ორგანიზაციაში მოხდა გარკვეული დაპირისპირება, რაც მუნიციპალიტეტის მერიის გასარჩევი ნამდვილად არ არის. აქედან გამომდინარე, ვერც არჩევანი გაკეთდება და ვერც პროგრამის გაორება მოხდება, რადგან ეს არის ბიუჯეტი და ჭირდება სხვა მიდგომა. თუკი მსჯელობის შედეგად აღმოჩნდება, რომ ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი იქნება უკეთესი, შესაბამისად, მოხდება მისი დაფინანსება. მით უმეტეს, რომ 2023 წლის მაისის თვეში მუნიციპალიტეტში უნდა გაიხსნას სკრინინგ- ცენტრი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა მიიღონ ის პროექტი, რომელიც უფრო უკეთესი იქნება მოქალაქეებისთვის.

საკრებულოს წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის’ მიერ შემოტანილი იქნა რამდენიმე ინიციატივა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, სოფლებში შიდა გზების და სუფსაში სანიაღვრე არხების მოწესრიგება, ასევე, მუნიციპალური ტრანსპორტის დამატება, რაზეც უკვე ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა და მისასალმებელი ფაქტია. გარდა ამისა, ურუშაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება და პროექტის შეძენა.

მუნიციპალიტეტის მერის, ალექსანდრე სარიშვილის განმარტებით, კონკრეტულ უბანთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც შეჰპირდა მოსახლეობას, განკარგულება უკვე მოვიდა და ეს ერთი უბანი აუცილებლად გაკეთდება. რაც შეეხება სოფლებში სანიაღვრე არხების კეთილმოწყობას, ამის განხორციელებას დაჭირდება დაახლოებით ერთი მლრდ. ლარი, ხოლო საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება ვერ იქნება გათვლილი მუნიციპალურ ბიუჯეტში.

ამით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი